მოვდივარ თქვენი მსახური და არა თქვენი უფროსი!

მე ვიქნები არა ხელისუფლების ერთგული, არამედ საქართველოს, ქართული იდეის, ქუთაისის და თქვენთვის მოცემული სიტყვის ერთგული

ნუ ფიქრობთ ჩემზე, იფიქრეთ ქუთაისზე... ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით ძლიერი ქუთაისისთვის!

ჩემი პროგრამის მიზანია, არა იმის გაკეთება, რაც მე შემიძლია, არამედ მოქმედებაში მოვიდეს ამ უნიკალური ქალაქის სრული პოტენციალი.

შემოხაზეთ სამიანი **3**

ჩემი და საარჩევნო კოალიცია
„ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“
პროგრამები შეგიძლიათ ნახოთ
www.tetrebi.org www.democratic.ge

ეს თქვენთან ერთად შევძელით!

ეს გაკეთდა, პრაქტიკულად, სამოქალაქო ომის პერიოდში...დღეს გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლება და გავაკეთებთ კიდეც...

1. აღდგა გელათის მეცნიერებათა აკადემია;
2. გელათი და ბაგრატი 1994 წელს შეტანილ იქნა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საგანძურში. საქართველოდან მსგავსი ფაქტი პირველად მოხდა;
3. ქუთაისის 3500 წლის იუბილესთან დაკავშირებით შექმნილი დოკუმენტების საფუძველზე შევიდა მსოფლიოს უძველეს ქალაქთა ხუთეულში;
4. ეკლესიას დაუბრუნდა ყველა საეკლესიო ნაგებობა დანიშნულებისამებრ მათი შემდგომი გამოყენებით;
5. დაიდგა დავით აღმაშენებლის პირველი ძეგლი და გაიჭრა დავით აღმაშენებლის სახელობის ახალი პროსპექტი;
6. ორი უმაღლეს სასწავლებლის ბაზაზე საქართველოში შეიქმნა რიგით მესამე უნივერსიტეტი – ქუთაისის აკაკი წრეთლის სახელობის უნივერსიტეტი. პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულებით შეიქმნა საუნივერსიტეტო კომპლექსი. უნივერსიტეტს გადაეცა: სამხედრო შტაბის, უშიშროების, მე-9 საშუალო სკოლის, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის შენობები (1997 წლიდან ჩემი მერობიდან წასვლის შემდგომ ამ პროექტის განხორციელება შეჩერდა. მერად არჩევის შემთხვევაში ეს პროცესი დასრულსება.);
7. საქართველოს კულტურის და სასწავლო დაწესებულებათა შენობების 30%-ის გაყიდვის წლებში ქუთაისში შენარჩუნებული იქნა ყველა საბავშვო ბაღი, სკოლა, ბიბლიოთეკა;
8. საბავშვო ბაღებისათვის სამჯერადი კვების უზრუნველყოფისათვის ყოველწლიურად გამოიყოფოდა იგივე თანხა, რაც მთელს დანარჩენ საქართველოში;
9. პირადი კეთილი ურთიერთობების ნიადაგზე აშენდა და ქალაქს საჩუქრად გადაეცა უნიკალური ბავშვთა ქალაქი მუხრანის აგარაკზე;
10. ქალაქს სასმელად გაფილტრული რიონის წყლის ნაცვლად მიეწოდა, როგორც საერთაშორისო ექსპერტებმა დაადასტურეს, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სასმელი წყალი – გაყვანილი იქნა უდიდესი მაგისტრალი წყალტუბოს რაიონის სოფ. ფარცხანაყანებიდან ქალაქის ცენტრალურ ნაწილამდე, გადამქაჩი სადგურით სოფ. ქვიტირში სამი 30 000 ტონიანი აუზით, საქუსლიას გორაზე და ერთი აუზით გორაზე მე-6 საშუალო სკოლასთან;
11. უმძიმეს პერიოდში, პრაქტიკულად სამოქალაქო ომისა და დიდი დაძაბულობის პირობებში, აღდგენილ იქნა მისი პირვანდელი სახით, 1991 წლის მიწისძვრის დროს დანგრეული ჯაჭვის ხიდი;
12. 1995 წელს აღდგენილ იქნა განადგურების პირას მყოფი თეთრი ხიდი;
13. ჯერ კიდევ კომუნისტების პერიოდში მოხდა პარტიული შენობების გადაცემის უნიკალური შემთხვევა: ერთი გადაეცა მეცნიერებათა აკადემიას, მეორე - კონსერვატორიის ფილიალს;
14. მიუხედავად რთული და ძნელი პერიოდისა, ჩატარდა მხატვართა და მოქანდაკეთა ოთხი საერთაშორისო პლენერი. იმერეთის თეატრების ორი საერთასორისო ფესტივალი.
15. გაუქმდა უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად ორჯერ გამოცდების ჩატარების პრაქტიკა (სკოლის დამამთავრებელი და სახელმწიფო გამოცდა უნივერსიტეტში);
16 - .პირველად საქართველოში დამკვიდრდა უმაღლეს სასწავლებლებში მიღება საშუალო სასწავლებლების ატესტატების საფუძველზე;
17. იუნესკოს ეგიდით, პარიზში ჩატარდა ქუთაისის დღეები 1995 წლის 22-29 მაისს,. ამ დღეების ფარგლებში, 300-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა ქუთაისიდან. ლევილში ფართოდ აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და პარიზის ცენტრში კონკორდის მოედანზე პარიზის მერიის გადაწყვეტილებით აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;

გაგრძელება მე-7 გვერდზე

... სიტყვა ქუთაისს

ჩემი პროგრამის მიზანია, არა იმის გაკეთება, რაც მე შემიძლია, არამედ მოქმედებაში მოვიდეს ამ უნიკალური ქალაქის სრული პოტენციალი. ქუთაისს აქვს უდიდესი ინტელექტუალური და საკადრო რესურსი, ჯერ კიდევ პრაქტიკულად გამოუყენებელი გამორჩეული გეოგრაფიული, სამეწარმეო და ტურისტული პოტენციალი. ყველა ეს მოქმედებაში მოდის , თუ ჩვენ ვეყრდნობით იმ ფუნქციას, რომელიც მეფეთ-მეფე დავით აღმაშენებელმა განუსაზღვრა ქუთაისს: სულიერების, ქართული ცნობიერების დაცვის, განათლების, კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების, სპორტის ქალაქი. მოკლედ, იუნესკოს ქალაქი - საუნივერსიტეტო და ინტელექტუალური ბიზნესის ქალაქი.

ექსპერტებთან გაწეული მუშაობის შედეგად, ქუთაისის საუნივერსიტეტო და ინტელექტუალური ბიზნესის ქალაქად გადაქცევას, სჭირდება ოთხი წლის განმავლობაში, მინიმუმ 1 მლრდ დოლარი, ანუ 1 მლრდ 700 მლნ ლარი. ეს ნიშნავს სტუდენტთა რაოდენობის 20000-ით გაზრდას და, როგორც მინიმუმ, 20000-ზე მეტ სამუშაო ადგილს, პრაქტიკულად ქალაქის შეცვლას.

რეალურია თუ არა ეს? რეალურზე რეალურია ქალაქის მოსახლეობას აქვს გადასაწყვეტი მთავარი საკითხი: აირჩიოს წესიერი, განათლებული, მოაზროვნე ხელისუფლება, რომელიც არ იქნება ცენტრალური ხელისუფლების მორჩილი, იქნება ქალაქის ინტერესების ერთგული.

აირჩიოს ხელისუფლება, რომელსაც ზღვა სიყვარული ექნება ხალხისადმი და კლდესავით მტკიცე იქნება ხელისუფლების მიმართ... კლდესავით მტკიცე იქნება თავის მოქმედებებში!

მე ასეთი განწყობით მოვდივარ! და ჩემს პატივისცემას ქუთაისისადმი ამ პროგრამითაც ვადასტურებ.

ეს არის პროგრამა შესაძლებლის მაქსიმუმზე მუშაობის.

ეს არის პროგრამა, რომ დამთავრდეს ადამიანებისათვის დამამცირებელი ბრძოლა არსებობისათვის და შესაძლებელი გახდეს ადამიანური ღირსების დამადასტურებელი - ბრძოლა საკუთარი თავის რეალიზაციისათვის!

ჩემი უმორჩილესი თხოვნაა, ყველამ, იმის მიუხედავად, მოვწონვარ თუ არ მოვწონვარ, მიჭერს თუ არ მიჭერს მხარს, წაიკითხოს ეს პროგრამა. თუ ვინმეს აქვს უკეთესი, მზად ვარ მხარი დავუჭირო. უფრო მეტიც, თუ ვინმეს შეუძლია ამ პროგრამის რეალიზება, მზად ვარ გვერდით დავუდგე, როგორც რიგითი, ყოველგვარი თანამდებობის გარეშე.

ჩვენ, ქუთაისელებს, ქვეყნისათვის ამ მძიმე ჟამს, გვეკისრება დიდი, შეიძლება ითქვას, ისტორიული პასუხისმგებლობაც, შევძლოთ პარტიული და პოლიტიკური საზღვრების დალეწვა და დიდი გაერთიანება მომავლის ქუთაისისა და მომავლის საქართველოსათვის!

ოც წელზე მეტია, საქართველოში არჩევნებით და არჩევნებში იმარჯვებენ პარტიები და პოლიტიკოსები და დამარცხებულია ხალხი. ვისურვებდი, 15 ივნისს რომელიმე მერობის კანდიდატს კი არა, ქუთაისს გაემარჯვა!

ვიცი ერთი: რაც მეტი ფული დაიხარჯება არჩევნების დროს, მით მეტი კორუფცია იქნება არჩევნების შემდეგ და მით უფრო ცუდად იცხოვრებს ხალხი!

მუხლმოდრეკილი გეხვეწებით: კარგად გავაცნობიეროთ, რომ ვინც ხმას ყიდულობს, ქვეყანას ჰყიდის და ვინც თავის ხმას ჰყიდის, ისიც ქვეყანას ჰყიდის!

პირდაპირ ვთქვათ, 20 წელზე მეტია ქვეყანას ხმების მყიდველები მართავენ, რომლებმაც დაპირებებით გვკვებეს, ქვეყანა გაგვიყიდეს და მხოლოდ საკუთარ ოჯახებს მისცეს ფუფუნებაში ცხოვრების საშუალება.

მოვდივარ კაცი, რომელსაც ამ ქალაქში კენჭიც კი მიყვარს, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად არც ქურდები და არც მხედრიონელები ვაპარპაშე, ორჯერ დიდი სისხლისღვრა ავაცილეთ საქართველოს, არ გავატარეთ რა თბილისისკენ მიმავალი ტანკები და სამხედრო ტექნიკა და ყველაზე მძიმე ჟამს დავდექით საქართველოს ერთიანობისათვის, როცა აფხაზეთში ღალატი იყო.

ჩვენ ყველაფერი ეს ერთად შევძელით. გვიჭირდა, მაგრამ ვცხოვრობდით სიყვარულით, ურთიერთპატივისცემით და არა სოროსული დასმენა-ჩაშვებებით.

ჩვენი გზა დავით აღმაშენებლის გზა იყო და არა „თავისუფლების ინსტიტუტის“ დამანგრეველი იდეოლოგია.

დღეს იმაზე უარესი მდგომარეობაა, ვიდრე გვგონია და ამიტომ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა 15 ივნისის არჩევნებს. საქართველოს პარლამენტმა და მასში შემავალმა ორმა პოლიტიკურმა ძალამ, „ქართულმა ოცნებამ“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დიდი შეურაცხყოფა მიაყენეს ქუთაისს საქართველოსათვის დამანგრეველი ანტიდისკრიმინაციური კანონის ქუთაისში მიღებით. ამ კანონით დისკრიმინაციაში მოგვაყოლეს ეროვნული ცნობიერების ადამიანები.

ან ეხლა, ან არასოდეს! ან ჩვენ ვირჩევთ ქართული ცნობიერების მერს და საერთოდ ხელისუფლებას, ან ვრჩებით სახელმწიფოდ (ესეც საეჭვოა) ეროვნულობის გარეშე. ვოცნებობ ისეთ საქართველოზე, რომელსაც არ ეყოლება ქვეყნის გარედან მართვადი ხელისუფლება!

საუნივერსიტეტო და ინტელექტუალური ბიზნესის ქალაქი ნიშნავს ეროვნული ცნობიერებით და პლანეტარული აზროვნებით ცხოვრებას! თქვენ არ გჭირდებათ იმის მტკიცება, რომ გარე სამყაროსთან ურთიერთობისათვის ორი რამ არის საჭირო: ინტელექტი და ბიზნესი. არც ერთს აქვს ეროვნულობა, არც ეროვნული საზღვრები. სწორედ ამიტომ არის ჩვენს პროგრამაში სიტყვები, უნივერსიტეტი, ინტელექტი და ბიზნესი.

დღეს მთავარია, დავიბრუნოთ ღიმილი და ვიცხოვროთ სიყვარულით. ეს კი ხდება მაშინ. როცა ქალაქს და ქვეყანას ჰყავს ერთგული ხელისუფლება, რომელიც წინამორბედთა მიერ წართმეულ ღირსებას უბრუნებს ხალხს და ამას აკეთებს დასაქმებით და საკუთარი თავის რეალიზაციის საშუალების მიცემით.

ჩვენ დღეს ერთმანეთს ვჭირდებით ქუთაისისათვის. ძლიერი ქუთაისის გარეშე არ არსებობს ძლიერი თბილისი, ძლიერი თბილისისა და ძლიერი ქუთაისის გარეშე - ძლიერი საქართველო!

გავერთიანდეთ ძლიერი ქუთაისისათვის!

მოდით არჩევნებზე!

ხმა მიეცით ქალაქისა და ხალხის ერთგულთ!

მე სრულ პასუხისმგებლობას ვიღებ ამ უმძიმესი პროგრამის შესრულებაზე. ამის იმედს თქვენ მაძლევთ, ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის ის განწყობა, როგორითაც ჩვენ ამ დღეებში ვხვდებით ერთმანეთს. ამ შეხვედრების გამო ვალდებული ვარ, სიცოცხლის ფასად გემსახუროთ.

ამ ათმა წელმა მე დიდი ანალიზის საშუალება მომცა. არაერთი ჩემი შეცდომა დამანახა. ბევრი მასწავლა, რაც უნდა წამოვიღოთ ევროპიდან თუ ამერიკიდან და იმაზეც დამაფიქრა, რატომ ის არ მოგვაქვს, რაც ქვეყანას სჭირდება და რატომ მოგვაქვს ის, რაც ანგრევს საქართველოს. დამანახა ის პოტენციალი, რაც მთელს მსოფლიოში მიმოფანტულ ქართველებთან, საქართველოს მოქალაქეებთან, ქუთაისელებთან არის დაკავშირებული.

ჩვენ ერთად სასწაულის მოხდენა შეგვიძლია და ეს იწყება იმით, რომ ქუთაისი პირველი იტყვის უარს საქართველოში ბოლო წლებში დამკვიდრებულ მონურ ფსიქოლოგიაზე - ხელისუფალის ხათრით პიროვნებათა არჩევის დამანგრეველ ტრადიციაზე. მე არ ვიქნები არც ივანიშვილის, არც ღარიბაშვილის, არც მარგველაშვილის, არც უსუფაშვილის, არც ამ პარლამენტის ერთგული, არც დავუპირისპირდები მათ, რადგან დაპირისპირება სუსტების მოგონილია. მე ვიქნები საქართველოს, ქართული იდეის, ქუთაისის და თქვენთვის მოცემული სიტყვის ერთგული!

სწორედ ამიტომ, ჩემი პროგრამა კონკრეტულია , რომლის შესრულებაზე კონტროლი თქვენ გექნებათ. საკუთარ თავში ვხედავ ძალას, შევასრულო თქვენთვის მოცემული სიტყვა. ყოველი ექვსი თვის თავზე ეს თქვენი მონაწილეობით შეჯამდება. ორი წლის თავზე კი, როცა ჩემი პროგრამით დასრულებული უნდა იყოს მთელი ქალაქის, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფარცხანა ნაყანების სასმელი წყლით 24 საათიანი მომარაგებით დასრულება და ნაგავსაყრელის პრობლემის მოგვარება - „ნდობის რეფერენდუმს“ შემოგთავაზებთ! თქვენ მიიღებთ მთავარ გადაწყვეტილებას: ან დამიდასტურებთ ნდობას, ან უნდობლობას გამომიცხადებთ!

მე ეს ორმხრივი კავშირის სისტემა უკვე ჩამოყალიბებული მაქვს. ყველა შეხვედრაზე ვარიგებ სავიზიტო ბარათს და ხმამაღლა ვამბობ: ჩემი მერად არჩევის შემთხვევაში ყველა ამ ტელეფონს მე ვუპასუხებ. თქვენ გექნებათ საშუალება, პირადად მითხრათ ის, რაც ჩემი პროგრამიდან არ ან ვერ სრულდება. ამ მისამართს აქაც ვბეჭდავ, რათა ყველა ადამიანს ჰქონდეს საშუალება ჩემთან პირადი კონტაქტისა, რათა ჩვენ ვგრძნობდეთ იმას, რომ ერთმანეთის ოჯახის წევრები ვართ, ერთად გვილხინს და ერთად გვიჭირს.

ქუთაისი ჩვენი დიდი ოჯახია. მოვდივარ თქვენი მსახური და არა თქვენი უფროსი!

ქ. ქუთაისი, კ. გამსახურდიას მე-5 შესახვევი 1
ტელ:+995 577 40 54 54; +995 790 40 54 55; +(431) 29 12 35.
E-mail: forwgeo@gmail.com; tetrebigeorgia@gmail.com
facebook: Teimuraz Shashiashvili

შემოხაზეთ სამიანი 3

დებატები

მიმდინარე წლის 5 ივნისს, ტელეკომპანია „რიონში“ შედგა ტელედებატები ქუთაისის მერობის კანდიდატებს შორის. გთავაზობთ ამ დებატებში „ბურჯანაძე -ერთიანი ოპოზიციის“ ქუთაისის მერობის კანდიდატის თემურ შაშიაშვილის გამოსვლას:

- მინდა უკმაყოფილება გამოვხატო იმის გამო, რომ კანდიდატებს არ მოგვეცა რეალური შესაძლებლობა ტელევიზიების საშუალებით მიგვემართა მოსახლეობისთვის და საკუთარი პროგრამები წარგვედგინა. ეს არ არის ევროპული გზა, არსად ევროპაში, არ არის აჭრელებული არც ერთი ქალაქი ამდენი ბანერით. საარჩევნო დებატები იქ ტელევიზიებშია გადატანილი. აქ კი საპირისპირო სურათი გვაქვს - ქალაქი აჭრელებულია ბანერებით, ხოლო კანდიდატებს არ აქვთ საშუალება დეტალურად ისაუბრონ ტელესივრცეში თავიანთ პროგრამებზე,

მინდა გამოვყო ჩემი საარჩევნო პროგრამიდან რამდენიმე პრიორიტეტი:

პირველი, ჩემი მერობის დროს მე მოვახერხე, ქალა-ქისთვის მომეწოდებინა უმაღლესი ხარისხის წყალი ფარცხანაყანებიდან. მანამდე ცნობილია, რომ ქუთაისი მოიხმარდა სასმელად გამოუსადეგარ წყალს. ჩვენ ამ საქმეს ახლაც ბოლომდე მივიყვანთ და ქალაქს ექნება უმაღლესი ხარისხის წყალი 24 საათის განმავლობაში.

მეორე - მოსვლიდან 3 თვის თავზე, მოსახლეობას წარვუდგენ ანგარიშს, თუ რომელი ძალა რომელ ბიზნესს აკონტროლებს ქუთაისში.

დღეს ქუთაისი გადანაწილებულია გავლენის სფერო-ებად. ჩემი გამარჯვების შემდეგ ეს დამთავრდება! ხალხს ეცოდინება, ვინ რას ფლობდა და რეალურად ვინ აკონტროლებდა ქალაქს მთელი ეს პერიოდი.

მესამე - ჩვენ არ დავუშვებთ მეტალურგიული წარმოების განვითარებას ქალაქში და გარემოს დაბინძურებას. ქუთაისი უნდა გახდეს ეკოლოგიურად უფრო სუფთა! ჩვენთვის გარემოს დაცვა იქნება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი.

მეოთხე - ჩემთვის უმნიშვნელოვანესი და მთავარი პრიორიტეტი იქნება - დასაქმება. ამ მიზნით მაქვს სერიოზული გეგმები ბიუჯეტის ფულის მობილიზებით დაწყებული და ქალაქში 300 მილიონიანი ინვესტიციების მოზიდვით დამთავრებული.

მინდა მოგახსენოთ, რომ ნიუ იორკის მერიაში დასაქმებულია სულ 400 თანამშრომელი, მაშინ, როცა დღეს ქუთაისის ქალაქის მუნიციპალიტეტში 700-900 თანამშრომელია და 9 მილიონზე მეტი იხარჯება ამ უზარმაზარი აპარატის შენახვაზე.

ჩემი გამარჯვების პირველივე დღეებიდან შემცირდება ბიუროკრატიული ხარჯები, მინიმუმამდე დავა მერიის საავტომობილო პარკი და გამონთავისუფლებული 3 მილიონით დაფინანსდება ახალი სამუშაო ადგილები. ვიმეორებ. ეს მხოლოდ პირველ ეტაპზე და სასწრაფოდ მოხდება. ჩვენ გვაქვს გაწერილი გეგმა, რომლის მიხედვითაც განვითარდება ბიზნესი, ქუთაისი გადაიქცევა მაღალი ტექნოლოგიური პარკების ქალაქად და შემოვა ინვესტიციები, რასაც მოჰყვება მოსახლეობის დასაქმება.

გპირდებით, ჩემი მერობის შემთხვევაში 300 მილიონი დოლარის ინვესტიციის შემოტანას და საავტომობილო და ელექტრომექანიკური ქარხნების ბაზაზე ტექნოპარკების ამუშავებას. მინდა გითხრათ, რომ მანამ არ დაგვადგება საშველი, ვიდრე ქალაქს არ ეყოლება ერთგული და წესიერი მერი. 15 ივნისს, ჩემი არჩევით თქვენ სწორედ ასეთი მერი გეყოლებათ.

მე გამოკვეთილად ვამბობ - საქართველოს უნდა ჰქონდეს ერთი პოლიტიკური ცენტრი - ეს არის დავით აღმაშენებლის გზა! თავად დიდმა დავითმა ქუთაისს მისცა ის ფუნქცია, რომლის შესრულება სხვა არც ერთ ქალაქს არ შეუძლია - ეს არის სულიერების, განათლების, კულტურის, მეცნიერების, ქართული ცნობიერების დაცვის და განვითარების ფუნქცია. აღმაშენებელმა აქ გახსნა გელათის აკადემია და ამით გამოკვეთა ქუთაისის ფუნქცია. ქუთაისი უნდა გახდეს ამავე დროს ინტელექტუალური

ბიზნესის ცენტრი!

მე საკითხს ვაყენებ ასე: პარლამენტს დღეს თუ ხვალ მაინც გადაიტანენ. ნუ დავძაბავთ ურთიერთობებს ქუთაისსა და თბილისს შორის. მწამდა და მწამს: ძლიერი ქუთაისის გარეშე არ არსებობს ძლიერი თბილისი! ძლიერი თბილისისა და ძლიერი ქუთაისის გარეშე კი წარმოუდგენელია ძლიერი საქართველო!...ამ ორი ცენტრის დაპირისპირება კი სიკეთეს არ მოუტანს ქვეყანას.

აქვე გეტყვით, რომ პარლამენტის გადატანას უნდა მოჰყვეს კომპენსაცია ქალაქისთვის. მერად არჩევის შემთხვევაში, მე მივმართავ ცენტრალურ ხელისუფლებას: ჩადეთ ქალაქის განვითარებაში 500 მილიონი დოლარი; გადმოიტანეთ ტექნიკური უნივერსიტეტი. ჩემი მიზანია, გადავაქციო ქუთაისი საუნივერსიტეტო ქალაქად 30 ათასი სტუდენტით. საუნივერსიტო ქალაქი ნიშნავს მრავალფუნქციურ ქალაქს. საუნივერსიტეტო ქალაქი არის იუნესკოს ქალაქი, რომელიც მოიცავს მეცნიერებას, კულტურას, სპორტს. მთელი ეს ტერიტორია, კინოთეატრ „სულიკოდან“ საავტომობილო ქარხნის ხიდამდე, სადაც დღეს განთავსებულია საქართველოს პარლამენტის შენობა, იუსტიციის სახლი, კონტროლის პალატა, სამთავრობო სახლი და უამრავი სხვა სახელისუფლებო ობიექტი, გახდება საუნივერსიტეტო ქალაქის ტერიტორია.

ჩემთვის მთავარია, არა პარლამენტის ყოფნა -არყოფნა ქუთაისში, არამედ ქუთაისის განვითარება და თქვენი დასაქმება. პარლამენტი კი უნდა დაბრუნდეს თბილისში, რათა ქვეყანას ჰქონდეს ერთი პოლიტიკური ცენტრი.

ჩემი მერობიდან წასვლის შემდეგ, არც ერთ ხელისუფლებას არ შეუქმნია ქუთაისის განვითარების სტრატეგიული გეგმა. არა მარტო ერთიანი სტრატეგიული, არამედ ცალკეული პრობლემური მიმართულების მიხედვით (პროგრამა - „წყალი; პროგრამა - „გაზი; პროგრამა „გზა“; პროგრამა - „ენერგეტიკა“ და სხვ.)

ახლა მე გთავაზობთ საკუთარ წინადადებებს თუ როგორ მესახება ქალაქის მომავალი და მერად არჩევის შემთხვევაში ასეთ პროგრამას უმოკლეს ვადებში წარმოგიდგენთ. ჩემი პროგრამა დაეყრდნობა იმ მიმართულებებს, რამაც ევროპა გადაარჩინა. ესაა მაღალი ტექნოლოგიური პარკები. დღეს მე ვხედავ ბუტაფორიულ პროექტებს, მშენებლობებს, რეალური წინსვლა კი არ არსებობს.

ჩემი მერობის პერიოდში, მასწავლებელი რეალურად იღებდა მერზე 1 ლარით მეტ ხელფასს, რეალურად ჰქონდა 10 ათასზე მეტ ბავშვს საბავშვო ბაღებში სამჯერადი უფასო კვება. გაკეთდა ჯაჭვის ხიდი, თეთრი ხიდი, გაიჭრა დავით აღმაშენებლის პროსპექტი, აშენდა ბავშვთა სოფელი და უამრავი სხვა...

დღეს 1 ლარი მხოლოდ 20 თეთრის საქვეყნო საქმეს აკეთებს, დანარჩენი 80 თეთრი კი კორუფციულია, ეს დამთავრდება. მე ვამბობ, ამ თანხებით 5-ჯერ მეტი საქმის გაკეთება შეიძლებოდა. ასე, რომ დღევანდელ და წინა ხელისუფლებებს არაფერი აქვთ საამაყო.

კიდევ ერთხელ გპირდებით: განვახორციელებ 300 მილიონიან ინვესტიციას, ვიმეორებ, რომ ბიუროკრატიულ ხარჯებს შევამცირებ მნიშვნელოვნად და ეს თანხებიც დასაქმებას მოხმარდება.

გადავწყვეტ ნაგავსაყრელის პრობლემას, ამ მხრივ პრიორიტეტს მივანიჭებთ იტალიელების პროექტს, რომელიც გაცილებით უფრო უკეთესია, ვიდრე გერმანელების და ბიზნეს - პროექტია და არა კრედიტი.

ჩქაროსნული ამვლელი გზის მშენებლობის დასრულების პარალელურად განხორციელდება კომპენსაციები. ჭავჭავაძის გამზირს შევუნარჩუნებთ ეკონომიკურ ფუნქციას.

დადგა დრო, დამთავრდეს ერთი კაცის ხათრით ვინმეს არჩევა. ეს იქნება პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, დეპუტატები, თუ მერები და გუბერნატორები. ამას ჰქვია მონური ფსიქოლოგია. მე ვერ ვიქნები „ქართული ოცნების“ და ზოგადად ხელისუფლების ერთგული, მაგრამ მე ვიქნები, საქართველოს ერთგული, ქართული იდეის ერთგული, ქუთაისის ერთგული და ქუთაისლებისთვის მიცემული სიტყვის ერთგული. სწორედ ამას ნიშნავს ქართული ცნობიერების თვითმმართველი ქალაქის მერობა. მე ვიქნები ის მერი, რომელსაც ექნება ერთგულება და ზღვა სიყვარული ხალხისადმი და კლდესავით მტკიცე იქნება ხელისუფლების მიმართ!

18. ქალაქის ბიუჯეტის დაფინანსებით შეიქმნა მუნიციპალური საავადმყოფო;
19. უცხოელ ინვესტორთა მონაწილეობით ქუთაისში გაიხსნა პირველი საერთაშორისო სატელეფონო სადგური;
20. შენარჩუნებული იქნა ყველა სახელოვნებო მართულების დაწესებულება. შეიქმნა უნიკალური ფუნქციის „ფოლკლორის სასახლე“, დაფუძნდა „ნიღბების თეატრი“ და მას გადაეცა ახლად გარემონტებული შენობა და შეიქმნა უნიკალური დატვირთვის იუნესკოს სახლი, ჯაჭვის ხიდთან, სახანძროს ისტორიულ არქიტეტქორულ შენობაში (სამწუხაროდ ეს ბოლო დანგრეულ იქნა ჩემს შემდგომ პერიოდში და აღარც იუნესკოს სახლი არსებობს.);
21. ქუთაისის ტორპედო სამგზის გახდა საქართველოს ჩემპიონი და ორგზის საქართველოს თასის მფლობელი...
P.S. ყველა ეს და სხვა ღონისძიება ტარდებოდა ადგილობრივი სახსრებით ცენტრალური ხელისუფლების დახმარების გარეშე, 1997 წლამდე (ვიდრე თეიმურაზ შაშიაშვილი იყო ქალაქის მერი). ცენტრალური ბიუჯეტიდან საერთოდ არ ყოფილა დაფინანსება. მეტიც, 1997 წელს,13 ივნისს პარლამენტში გამოსვლისას თემურ შაშიაშვილმა შესთავაზა დიდი პროგრამა, რომელიც მოიწონა საქართველოს პარლამენტმა, თავმჯდომარემ, ზურამ ჟვანიამ ამ პროგრამას საქართველოსათვის დიდი მომავლის პროგრამა უწოდა,მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო, პარლამენტმა თავისი გადაწყვეტილება არ შეასრულა.

თემურ შაშიაშვილის ქუთაისის მერად მუშაობის დროს

ქუთაისის წილი რესპუბლიკურ მაჩვენებლებში	
1992	4,2%
1993	5,5%
1994	7,0%
1995	9,3%
1996	7,3%

ქუთაისის წილი იმერეთის მხარის შემოსავლებში	
1992	27%
1993	43%
1994	58%
1995	63%
1996	65%

განათლების სფეროს დაფინანსება გაიზარდა	
საბავშვო ბაღები 18000-დან 784 000 ლარამდე	43-ჯერ
საშუალო სკოლებო - 58 000 დან 3572 600 -ლარამდე	61-ჯერ
სახ. უნივერსიტეტები - 4 400 დან 257 800-ლარამდე	59-ჯერ
ტექნ, უნივერსიტეტი - 6200 – 279 600 ლარამდე	47-ჯერ
ლიცეუმი და გიმნაზია 0-დან 646500-ლარამდე	
სამუსიკო სასწ. 500-დან 63 500 ლარამდე	127-ჯერ
სამუსიკო სკოლები 1 800 დან 84200 ლარამდე	47-ჯერ

კულტურის ობიექტების	
დრამატული თეატრი 500-დან - 73000 ლარამდე	147-ჯერ
საოპერო თეატრი - 1 200 დან 94 000 -ლარამდე	79-ჯერ
თოჯინების თეატრი - 500 დან 83 600-ლარამდე	209-ჯერ

ქუთაისის წილი რესპუბლიკურ მაჩვენებლებში	
საავტომობილო ქარხანა (დარგის 6 საწარმოს შორის)	94,7% - 2000 - დასაქმებული
ს/ს ელექტრომექნიკოსი (დარგის 18 საწარმოს შორის)	41% - 700 - დასაქმებული
ს/სკოლხურო აბრეშუმი (დარგის 19 საწარმოს შორის)	79%
სამკერვალო „იმერეთი“ და „გელათი“(დარგის 19 საწარმოს შორის)	58% - 400 დასაქმებული

შემოხაზეთ სამიანი

შაშინგტონში ყველაფერი რიგზეა

(კომუნიზმში კი არა ქუთაისში ვართ)

თუ ტრანსპორტს ცოტა ხნით შევეშვებით და შაშინგტონის ქუჩებში ცოტა ხანს გავივლით, უწინარესად სისუფთავე გვეცემა თვალში. ქალაქის ყველაზე განაპირა ადგილასაც კი, იდეალურად არის დაცული სანიტარული ნორმები, ცენტრალურ ქუჩებსა და მოედნებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ქუთაისის, ანუ შაშინგტონის ქუჩების ერთ-ერთი ატრიბუტია თითქმის ყოველ ნაბიჯზე მდგომი წესრიგის დამველი - გაწონასწორებული და თავშეკავებული. ისინი ისე ზრდილობიანად მოგმართავენ და ისე თავაზიანად გთხოვენ პირადობის მოწმობას, შეიძლება ინატრო კიდეც, ნეტავ კიდევ გამაჩერონო. რაც მთავარია, ქუთაისი ჯერაც არ წაულეკავს „კოკა კოლას“ , ბისტროებსა თუ ბარებს. მართალია, არც თუ იშვიათად ასეთივე უცხოური დაწებულებები გვხვდება, მაგრამ მაღაზიებში უპირატესად სამამულო საქონელი იყიდება, ფასებიც შედარებით დაბალია და ზოგან ისეთ პროდუქტს წააწყდებით, თბილისში სანთლითაც რომ ვერსად იპოვით. მოკლედ, ქუთაისში ჩამოსული კაცის პირველი შთაბეჭდილება ამ ბოლო დროს პოპულარული, ნოსტალგიური ფრაზით გამოიხატება: „ეს სად მოვედი, კომუნიზმში ხომ არ ვარ?!“ , რაზეც ქუთაისლები მოკლედ და კონკრეტულად გიპასუხებენ: „კომუნიზმში კია არა, ბიჯო, ქუთაისში ხარ“ . მართლაც, როგორც ჩანს, ადამაინისათვის ცხოვრების ნორმალური პირობების შესაქმნელად სულაც არ ყოფილა აუცილებელი კომუნიზმის მწვერვალების დალაშქვრა. რაც შეეხება ქალაქის მერს, ბატონ თემურ შაშიაშვილს, მას ქუთაისლები კიდეც აფასებენ და კიდევაც აკრიტიკებენ.”

რაც ახლა წავიკითხეთ, 18 წლის წინათ არის დაწერილი - 1996 წლის 19 ივლისს, „დილის გაზეთში“.

ხელწერილი

მე, თეიმურაზ შაშიაშვილი, მცხოვრები ქ. ქუთაისში, გამსახურდიას ქუჩის მე-5 შესახვევი № 1, როგორც საჯარო სამსახურში მყოფი თანამდებობის პირი, ვიძლევი ამ ხელწერილს მასზედ, რომ:

1. მე, ჩემი მეუღლე, შვილები და დედა, `მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არც ერთ სამეწარმეო სუბიექტში არ ვფლობთ საწესდებო კაპიტალის წილს ან აქციას და არც ერთი სამეწარმეო სუბიექტის მიმართ არ გაგვაჩნია ფინანსური თუ სხვა სახის პირადი ინტერესები.

2. თუ სახელმწიფო სამსახურში მუშაობის განმავლობაში ჩემი ან ამ ხელწერილის პირველ პუნქტში აღნიშნულ პირთა წრიდან, რომელიმე პიროვნება შევიძენთ საცხოვრებელ სახლს, მანქანას, ან გავხდებით `მეწარმეთა შესახებ~ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო სუბიექტის საწესდებო კაპიტალის წილის ან აქციის მფლობელი, ვაცხადებ, რომ ჩემს მიერ ოფიციალურად იქნება ინფორმირებული საზოგადოება, შეძენამდე ერთი თვით ადრე, საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით.

3. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მაქსიმალურად დავეხმარები თითოეულ დაინტერესებულ პირს, მოიპოვოს ნებისმიერი ხელმისაწვდომი ინფორმაცია ამ ხელწერილით განსაზღვრული პირობების ნამდვილობის შემოწმებისათვის თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ მას ექნება ეჭვი ამა თუ იმ სამეწარმეო სუბიექტში ჩემი ან ზემოხსენებულ პირთა წრის არაოფიციალური წილისა თუ აქციის მფლობელობის თაობაზე

4. პიროვნება, რომელიც წარმოადგენს ამ ხელწერილის პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრული პირობების უარმყოფელ და გამაბათილებელ, სამართლებრივად დადასტურებულ დოკუმენტს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 755-ე მუხლის შესაბამისად, საჯაროდ ვაცხადებ, რომ ჯილდოს სახით ვჩუქნი მას აღნიშნულ საწესდებო კაპიტალის წილს, აქციას და ამ ხელწერილის მეორე პუნქტით განსაზღვრული პირობის დარღვევით შეძენილ სამეწარმეო სუბიექტის წილს, აქციას, სახლს და მანქანას.

5. თუ სახელმწიფო სამსახურში ჩემი მოსვლის შემდგომ ამ ხელწერილის პირველ პუნქტში აღნიშნულ პირთა წრიდან რომელიმეს აქვს შეძენილი საცხოვრებელი სახლი, მანქანა, ან არის ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სახელმწიფო სუბიექტის საწესდებო კაპიტალის წილის ან აქციის მფლობელი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 755-ე მუხლის შესაბამისად, საჯაროდ ვაცხადებ, რომ ჯილდოს სახით ვჩუქნი მის აღმომჩენ ნებისმიერ პიროვნებას ზემოთ აღნიშნულ ნივთს.

6. ხელწერილი ძალაშია როგორც ჩემი სახელმწიფო სამსახურში ყოფნის განმავლობაში, ისე სახელმწიფო სამსახურიდან წასვლის შემდეგ

7. ხელწერილი ჩემს მიერ არის შედგენილი, სწორია და ხელს ვაწერ. თეიმურაზ შაშიაშვილი 1999 წელი.

შემკვეთი: საარჩევნო სუბიექტი „ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“ საარჩევნო კოალიციის ფოთლი.
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირისა და ჟიფშიძის ქუჩის გადაკვეთა მე-4 კვარტალი, ნაკვეთი 10, საარჩევნო №3
შემსრულებელი: შპს „ტორი“. მის: ქ. თბილისი, ზიგზაგისა და გვაზაურის კვეთა ტირ: 20000 ც. 08.06.2014